ოქმი:**ო08. 3722306001**

თარიღი:**23/01/2023**

ოქმი № 16
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 29 ივლისი

ქ.ოზურგეთი

11.00 -11.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ.ურუშაძე, ლ. კილაძე, თ.ტუღუში, გ.ჩავლეშვილი, გ. კილაძე, გ. შილაკაძე, ბ.კილაძე,პ.კიღურაძე, ა.ღლონტი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ქ. ოზურგეთში წერეთლის ქუჩაზე მდებარე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების(ს/კ N26.26.40.086) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის და ქ. ოზურგეთში ე. ნინოშვილის ქუჩა N 2-ში მდებარე (ს/კ N 26.26.54.ო46) და N 26.26.54.110) უძრავი ქონების ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაბრუნების შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ, დ. ჭაკნელიძემ, მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის პირველ საკითხზე, კონკრეტულად საკითხზე კომისიის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ, აღინიშნა, რომ მიწის ნაკვეთები ჯერ უნდა დანაწილდეს სამსახურებზე, დარეგისტრირდეს სააგენტოში, რომლის შემდეგაც შესაძლებელი იქნება მისი საკრებულოს სხდომაზე შემოტანა განხილვა -დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის გეგმის შესრულების ძირითადი პარამეტრების, შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ. ვრცლად

ანგარიში კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ. ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება ანგარიში წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N 2 საკითხი: შეტანილ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.
2. N 1 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში მიწის ნაკვეთების შეასბამისს სამსახურებზე დანაწილებისა და სააგენტოში დარეგისტრირების შემდეგ.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი